

კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი

საბანკო სისტემების განვითარების ისტორია ვარდნების, ამაღლებისა და კრიზისების შესახებ მოწმობს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადრეულ სტადიებზე პრობლემების პირველი ნიშნების გამოვლენის მიზნით, სისტემის ელემენტების ფინანსური მდგომარეობის განჭვრეტას და პროგნოზირებას პრიორიტეტული მნიშვნელობა გააჩნია.


საბანკო მონიტორინგის ჩატარების აუცილებლობა განპირობებულია, იმ განსაკუთრებული როლით, რასაც ბანკები საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში ასრულებენ. ფულად-საკრედიტო ბაზარზე შუამავლის როლის შესრულებით, ბანკები ზემოქმედებას ახდენენ ფულადი მასის მოცულობაზე და სტრუქტურაზე, და ამით საერთო ეკონომიკურ კონიუნქტურაზე აქტიურად ზემოქმედებენ. მეორეს მხრივ, მუდმივი მონიტორინგის ორგანიზაცია, კომერციუ-

დავით ტაავა –
სტუ-ს დოქტორანტი

ლი ბანკებისა და ქვეყნის საბანკო სისტემის ფუნქციონირების სტაბილურობის უზრუნველყოფასთან მიმართებაში მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობის ეფექტურობის ამაღლების აუცილებლობით არის განპირობებული.

ამრიგად, საბანკო მონიტორინგი დაკვირვებების გარკვეულ სისტემას წარმოადგენს, რომლის შექმნისა და ფუნქციონირების საფუძველში ჩადებული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები: კომპლექსური ხასიათი, დაკვირვების უწყვეტობა, რეპრეზენტატიულობის უზრუნველყოფა.

საბანკო მონიტორინგის ობიექტების სიმრავლემ და სტრუქტურის სირთულემ საბანკო მონიტორინგის სახეობების კლასიფიკაციის საჭიროება განაპირობა (იხ. ნახ. 1).




ნახ. 1. საბანკო მონიტორინგის სახეობების კლასიფიკაცია

ბანკები, აღირსხვა, აუდიტი

საბანკო მონიტორინგის საერთო სისტემაში კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგის პროცესის აღწერა შემდეგი სქემის მიხედვით არის შესაძლებელი (იხ. ნახ. 2).

ავტორის მოსაზრებით, კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის ცნების განმარტება შემდეგი სახით შეიძლება იქნას ჩამოყალიბებული: ბანკის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი არის კვლევის მეთოდების ერთობლიობა, რომელიც თავისთავად, საკრედიტო ორგანიზაციის ნეგატიური (პოზიტიური) ტენდენციების გამოვლენისა და განვითარების პერპექტივების პროგნოზირების მიზნით, მისი ფინანსური საქმიანობის საკვანძო პარამეტრებზე, მაჩვენებლებზე დაკვირვების და მათ ანალიზს წარმოადგენს.



ნახ. 2. ბანკის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი საბანკო მონიტორინგის სისტემაში

ბანკის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგის სისტემა სქემის სახით შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ (იხ. ნახ. 3), საიდანაც გამომდინარეობს მონიტორინგის ამოცანები, ფუნქციები და ინსტრუმენტები როგორც კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური კვლევის მეთოდი.


ფინანსური ანალიზი არის მონიტორინგის სისტემის შემადგენელ ნაწილს, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს რა ობიექტების კომპლექსური კვლევის მეთოდს, იგი არ ეფუძნება მხოლოდ ანალიზს, არამედ მოიცავს პროგნოზის კომპონენტსაც. ბანკის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგის და ფინანსური ანალიზის სისტემის შედარება მოცემულია ცხრილ 1-ში.

საბანკო მონიტორინგი მოიცავს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების სფეროსაც. საკრედიტო ორგანიზაციის მენეჯმენტის სისტემა შეიძლება პირობითად დაიყოს ფინანსურ მენეჯმენტად და პერსონალის მართვის სისტემად. ბანკის მენეჯმენტის და ფინანსური მონიტორინგის ურთიერთკავშირი ასახულია ნახაზ 4-ში.

ცხრილი 1.

ბანკის ფინანსური მდგომარეობის, შიდა კონტროლის, ფინანსური ანალიზის მონიტორინგის და საბანკო ზედამხედველობის სისტემების დახასიათება

სისტემური ნიშან-თვისებები არსი	საბანკო ზედამხედველობა	ბანკის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი	შიდა კონტროლის სისტემა	ფინანსური ანალიზი
	კონტროლის ფორმა	კომპლექსური კვლევის მეთოდი	მართვის ფუნქცია	კვლევის მეთოდი
სისტემის მიზანი	ბანკების საქმიანობაში დარღვევებზე და ნეგატიურ ტენდენციებზე რეაგირება მათი ფინანსური მდგომარეობის ნორმალიზაციის და ცალკეული საკრედიტო ორგანიზაციის და საბანკო სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერისათვის	ფინანსური მდგომარეობის ცვლილების ტენდენციების გამოვლენა და მისი პროგნოზირება	ბანკის საქმიანობის რეგულირების სისტემაში გადახრების გამოვლენა, ხარვეზების აღმოსაფხვრელად ეფექტური გადაწყვეტილებების შემუშავების ხელშეწყობა	მეწარმე სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის გამოკვლევა, რისკების იდენტიფიცირება და საქმიანობის ეფექტურობის შეფასება
სუბიექტი	ეროვნული ბანკი	- ეროვნული ბანკი; - საკრედიტო ორგანიზაციები	საკრედიტო ორგანიზაცია	- ეროვნული ბანკი; - საკრედიტო ორგანიზაციები
ობიექტი	საკრედიტო ორგანიზაციები; საბანკო სისტემა	საკრედიტო ორგანიზაცია	საკრედიტო ორგანიზაცია	საკრედიტო ორგანიზაცია
საგანი	საკრედიტო ორგანიზაციებისა და საბანკო სისტემის ფუნქციონირება	ბანკის ფინანსური მდგომარეობა	ოპერაციები, პროცესები	ბანკის ფინანსური მდგომარეობა
ამოცანები	- დაკვირვებები ნორმებისაგან და წესებისაგან გადახრების გამოვლენის მიზნით; - საქმიანობის ანალიზი ფუნქციონირების პრობლემების გამოვლენის მიზნით	- დაკვირვება მონაცემთა ბაზის ფორმირებისათვის; - საქმიანობის ანალიზი ტენდენციების, ფაქტორების, დამოკიდებულებების გამოვლენისათვის; - განვითარების ტენდენციების პროგნოზი	დაკვირვება ნორმებისა და წესებისაგან გადახრების გამოსავლენად	საქმიანობის ანალიზი ტენდენციების, ფაქტორების, დამოკიდებულებების გამოსავლენად



ნახ. 4. ბანკის ფინანსური და საკადრო მენეჯმენტის ურთიერთკავშირი

მოცემული ნახაზიდან ნათლად ჩანს, რომ ფინანსური მენეჯმენტი უშუალოდ კავშირშია ფინანსური ანალიზის შესაბამის მიმართულებებთან. აღნიშნული მოწმობს იმის შესახებ, რომ ანალიტიკური საქმიანობის შედეგები გამოიყენება შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და ინფორმაციული ნაკადების მოძრაობის არხები ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ იძლეოდეს საბანკო საქმიანობის ეფექტურად წარმართვის და ამავე დროს პროცესების კონტროლის შესაძლებლობა.

ცალკეული კომერციული ბანკებისა და მთლიანად ქვეყნის საბანკო სისტემის ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი პრაქტიკულად ცენტრალური ბანკის მიერ პრუდენციული ზედამხედველობის ჩატარების ჩარჩოებში ხორციელდება.

საბანკო ზედამხედველობის კლასიკური მოდელი მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს:

1. ლიცენზირებას და საკრედიტო ორგანიზაციის სტრუქტურის ცვლილების შეთანხმებას.

2. საკრედიტო ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაზე ზედამხედველობას (მიმდინარე ზედამხედველობას).

ბანკების საქმიანობა თავისი ბუნებით სხვადასხვაგვარი რისკების აღებას განაპირობებს.

ბანკებთან მიმართებაში ზედამხედველობის ორგანოების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ბანკების მიერ აღებული რისკების ხასიათი იქნას გაგებულ და მიღწეული იქნას ის, რომ ბანკები აღნიშნულ რისკებს ადეკვატურად ზომავდნენ და შესაბამისი სახით მართავდნენ.

ამრიგად, მიმდინარე ზედამხედველობის სტრატეგიულ ამოცანას საკრედიტო ორგანიზაციის მართვის შესაბამისი დონის უზრუნვე-

ლყოფა წარმოადგენს, ხოლო საზედამხედველო ორგანოს ყველა ქმედება, საბოლოო ჯამში, სწორედ აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტაზე უნდა იყოს მიმართული. მართვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს საკრედიტო ორგანიზაციებში ექსტრემალური სიტუაციების შემთხვევაზე შესაბამისი გეგმის აუცილებელი არსებობა. აღნიშნული გეგმა სტრეს-ტესტირების შედეგებზე უნდა იყოს დაფუძნებული.

თანამედროვე პირობებში ასეთი სახის გეგმები ბევრ ბანკს არ გააჩნია, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არსებობენ, მეტად ფორმალურებია და საკრედიტო ორგანიზაციებში კრიტიკული სიტუაციის დადგომისას ქმედებებისადმი სახელმძღვანელოს არ წარმოადგენენ.

მოცემულ საკითხთან მიმართებაში ყოველივე თქმულის შეჯამებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი, რომ ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგის სისტემა და მართვის ფუნქციის რეალიზაცია საბანკო მენეჯმენტთან არის დაკავშირებული, რომელიც სტრატეგიული და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიმღებ რგოლს წარმოადგენს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Банковское дело/Под ред. О.И. Лаврушина. – Москва: КНОРУС, 2009. – 768с.
2. Антикризисное управление предприятиями и банками: Учебник – практическое пособие. – Москва: Дело, 2001. – 840с.
3. Роджер Лорей Миллер, Дэвид Д. Ван-Хуз. – Современные деньги и банковское дело: Учебник для вузов. – Москва: ИНФРА-М, 2000. – 768с.

МОНИТОРИНГ ФИНАНСОВОГО СОСТОЯНИЯ КОММЕРЧЕСКИХ БАНКОВ

ДАВИД ЦААВА - докторант ГТУ

Рассмотрены вопросы мониторинга финансового состояния коммерческого банка. Отмечено, что мониторинг представляет определенную систему наблюдений, в основу создания и функционирования которой должны быть вложены следующие принципы: Комплексный характер, непрерывность наблюдений, обеспеченность репрезентативности. Сделаны выводы, что система мониторинга финансового состояния и реализация функции управления связаны с конечным менеджментом, которая является звеном получателя стратегических и управленческих решений.

MONITORING OF A FINANCIAL CONDITION OF COMMERCIAL BANKS

DAVID TSAAVA - PhD of GTU

It is reviewed monitoring system of the commercial bank. The monitoring system must be based on the following principles: a complex character, observing continuity and adequacy. Financial management and monitoring system are related to the bank's management, who is strategic and managerial decision-making unit.